



№140 — 1916 **ჯ ა ს ი**
 კვირა, 2 დეკემბერი. 12კაპ.

ქურონალი „თეატრი და სპოზრება“
 წლიურად 5 მ, ნახევარი წლით 3 მ. გაწერა შეიძლე-
 ბა ფოსტით: თიფლას, რედ. „Театри და Цховრება“
 Тос. Имедашვილი. პირისპირ: „სორაბნი“-ს სტამბაში.

წელ: მმოთხე
 გამოსცემის:

ბ ა ქ ა ს ს ტ ე ნ ა



შალვა დადიანი
 ბაქოს დრამატულ წრის რევისორად
 მიწვეული



ელ ანდრონი-
 კაშვილი



მ. ხონელი



ვასო არაბიძე
 ბაქოს სამხატ-საღიტ. წრის რევისორად
 მიწვეული

ჩემი პასუხი

ზაფხულზე თვეზედ მეტისოფელში გავატარე. ამ ხნის განმავლობაში, მეტი რომ არ ვთქვა, ათასი კაცი მაინც იყო ჩემთან. რღვანაც ჩვენი კუთხე შედარებით ჩამორჩენილია, კოოპერატივი კი ახალი ხილი, ამიტომ მამაკაცებს თითქმის ყველას ვეკითხებოდი საჩხერის კოოპერატივის შესახებ. ბევრი მეუბნებოდა: არაფერი არ ვიცით ბატონოვო. სხვებ კი მხოლოდ თავის უკმაყოფილებას მიცხადებდნენ იმ სახით და იმ სიტყვებით, როგორც მე აღვნიშნე ექვს ჩემს წერილში («თ.» № 37).

გულახდილად ვაცხადებ, კმაყოფილი არა ვარ მინახავს სოფლის გლეხებში, მოძღვრავი კი ბევრი. ეს სამღვრავი იმდენათ ძლიერი იყო, რომ ზოგი გლეხი პირდაპირ ამ სიტყვებით მიპასუხებდა: ბატონო პოლიცია, რომ არ გჯეროს შიგ, არ შეიძლება.

ამ გარემოებამ მე ძალიან შეზაწუხა. წერილშიაც აღვნიშნე, რომ საჩხერის კოოპერატივის მეთაურებს მე პატივს ვცემ და მათი სიწმინდე ჩემთვის ყოველ ექვს გარეშა, ხოლო ცხადი იყო ჩემთვის შემდეგი: მათ ვერ მოახერხებს თავიდანვე საქმე ისე დაეყენებიათ, რომ ხალხის ნდობა და სკვარული დაემსახურებია კოოპერაცივს.

მქონდა თუ არა მე ზნეობრივი უფლება, დამეწერა აღნიშნული წერილი.

მე ვფიქრობ, რომ მქონდა.

დამყარება თავისი აზრებისა და დასკვნებისა გავგონილ ხმებზე არ ვბატყება დინჯ კალმოსანსო, სწორედ კოოპერატორები.

რას ჰქვია გავგონილი ხმები?

გლეხები, რომლებსაც მე ვეკითხებოდი, მეუბნებოდნენ მას, რაც მე აღვნიშნე ჩემს წერილში. ნაიქვამია, ზმა ღვთისა და ზმა ეზისა.

სამა კაცმა რომ გიხხრას, ცალთვადი ხარო, უნდა დაიჯეროვო, ნაიქვამია. სამი კი არა მე ვაცილებით მეტი მეუბნებოდა საჩხერის კოოპერატივის შესახებ ავს.

ამის შემდეგ უფლება მქონდა თუ არა ვფიქრა, რომ საჩხერის კოოპერატივი თავის დანიშნულებას ვერ ემსახურება?

ხალხს აზრს რომ კოოპერატორებ ანგარიშს უწევდნენ, მე დარწმუნებული ვარ, ჩემს წერილსაც ალაგი არ ექნებოდა.

ჩემს წერილში მე წამოვაცენე ორა ბრალდება: ერთი ზოგადი, ერთი კონკრეტული.

1) პირველ საქორების ზოგიერთ საგნებს კოოპერატივში უფრო ძვირათ ჰყიდნენ, ვიდრე საჩხერის ვაქრები საზოგადოათ.

2) ვაქარი მამალაძე (შეიძლება გვარი სისწორით არ მახსოვდეს) ფუჟას სომიდს ჰყიდა ექვს აბაზათ, კოოპერატივი კი რვა აბაზათ.

საქირო იყო, კოოპერატორებს პირდაპირ ეთქვათ, მართალია ეს ორი ბრალდება თუ არა.

იმათ რომ ეთქვათ: არაფერი ამის მზგავსი კოოპერატივში არ მომხდარათ, მათი სიტყვა ჩემთვის უფრო საბუთი იქნებოდა და მე ბოლიშს მოვიხდიდი.

ამის მაგიერათ კოოპერატორები მიჩვენენ, სამი კაცი აირჩიეთო.

რა საქიროა სამი კაცის არჩევა, ან თქენი წასვლა. თუ რაიმე ნაკლი აქვს თქვენს ახალსა და მეტათ სიმპატიურ საქმეს, გაასწორეთ, თუ არა აქვს ნაკლი, ბრძანეთ და მე პირველი ვალიარებ ჩემს შეცდომას.

პატივცემულმა კოოპერატორებმა ძვირათ აირჩიონ სა?ი პირი, მათგან შიერთს ვასახელებ მე საჩხერის მოსამართლეს ბ. ნიკურაძეს.

ამ სამმა პირმა უნდა დაადასტუროს სართლეთ ან სიყალბეთ იმ ორი ბრალდებისა, რომელიც მე წამოვაცენე.

ვ. კ. მჭედველი

გზავნი

ნოკრილებულ ცის კამარაზე ლაღ-ღ მისცურავს ნამგალა მთვარე და შუქ-დაფენილ თეთრ შარა გზაზე იღმის მეურმის ღიღინი მწარე. ღიღინებს იგი და იმ ღიღინით სულის წუხილიც უმ უბუქდება, — აღამინის დარდი, ვარამი, მწარ ტკბილ ღიღინით გამოითქება.

გ. ქუჩიფილი

ცხოვრების სურათები

წუთისოფლის სამართალი

I

ხშირათ ვხედავ მე ჩვენს ბაღში
ერთ მოხუცსა, მიხრწნილ მსკოვანს:
თოვლივითა გათეთრებულს,
ოთხმოცდაათ — თუ ასწლოვანს

—

თვალში ძლივსღა იხედება,
გზას ძლივს იგნებს, ძლივს დაჩოჩავს...
წყლმობრილი მიწას დასცქერს:
თითქო რასღაც ეძებს, ბოქავს...

—

მაგრამ სახე... სახე მაინც
სიხარულით აქვს გაშლილი:
თან დაყვება, ათამაშებს
პაწა შვილისშვილისშვილი!

—

ხან გარშემო უტრიალებს,
ხან კალთაში აფრინდება...
ფეხს წაიკრავს, დაეცემა,—
მაგრამ წამსვე აფრინდება

—

ხან რაღაცებს უტიტინებს...
უტიტინებს ბავშურ კორგებს—
და მოხუცი, ლხენით საგსე,
თვალსა და ყურს არ აშორებს.

—

გულში ამბობს: „ჩემო დღეო,
აწლა მცირე დარჩენილო!
და შენ, პაწავ, სიხარული
ჩემო, ჩემთვის გაჩენილო!“

—

„მოახლოვდა... მე სიკვდილი
ხშირათ თვალწინ მეღანდება...
და დროც არის, თან კანონიც:
კვდება, რაც კი იზადება!“

—

„მაგრამ გზადღობ შენ, უფალო,
რომ სიბერე დამიამე—
და ეს ლხენა მომანიჭე,
მომანიჭე ეგ სიაშე!“

—

და ყურს უგდებს ბავშვის ტიკტიკს,
თვალს აყოლებს მის ტუბილცქრიალს...

გულს იხუტებს, თავზე კოცნის...
სვამს ნექტარით საგსე ფაღას...

II

აგერ .. აგერ ის მოხუცი!
რა ხანია არ მინახავს...
დაჩოჩავს და დაჩიფჩიფობს,
ხან ხმამალა რასღაც ჩმახავს...

—

ხელებს აქნევს შემოლილივით,
თავი მძიმე დაუხრია—
და თვალეზიც სოფელი აქვს:
ჩანს— ცრემლები დაუღვრია...

—

მარტოთ დაძრწის, მარტოთმარტო,—
თან არ ახლავს ის პაწია...
და მიჩოჩდა ახლოს სკამთან,—
ძლივსძლიობით მიაწია...

—

მივედი და მივეხმაზე
მკლავში ხელას მოკიდებოო,—
სკამზე დავსვი, გვერდს მოვეუჯექ...
ბოლოს ვკი: ხე მოჩიდებო:

—

„ბ.ბ.უ, სად გაყავს ის პაწია,
აქ — ბაღში რომ დაგყვებოდა,
ხან გულ-მკერდში გეხვეოდა,
ხან კისერზე გახტებოდა?..“

—

და როს ვკითხე, მხოლოდ მაშინ
შეენიშნე, რომ ძაძა ეცვა —
და იმ წამსვე მეხვდი, ქმუნვით
მე: ი სახე რას მოეცვა...

—

გვიან მივხვდი... ჩ მიკაახვით
სვდა მწარეთ ავეშაღე —
და ქვიინი, ცრემლების ღვრა
ვეღარაფრით დავუშაღე...

—

დღესაც დაძრწის მარტოთმარტო—
და სიკოცხლის ნიშანწყალი
აღარაფრით არ ეტყობა,—
ძლივს დაჩოჩავს ის საწყალი...

დაჩოჩავს და თან ჩიფჩიფებს:
 „ვერ შევიძელ მის გაგება,
 თუ რათ, რათ გვსჯის ასე მწარეთ
 ღვთის კანონი, ღვთის განგება!..“

„სიცოცხლის და ნეტარების
 რათ დაგვიშრო წყარო ტკბილი?
 ნორჩი რისთვის წაყვანა,
 რათ დამტოვა აქ, მიხრწნილი?!..“

„ვინ ამიხსნას ღვთის ბძანება,
 ვინ, ვინ მითხრას მე მართალი:
 ნუთუ ცაშიც, ვით ამ ქვეყნათ,
 აღარ არი სმართალი?!..“

სიკვდილი.

სულის განცდანი ღამე

ახ, რომ იცოდე, რა რიგად მიყვარს მე
 დაშე!.. მხოლოდ მაშინ, მაშინ შემოდლიან
 მივსწვდე სიცოცხლის საიდუმლოებას...

მე მიყვარს ღრუბლები, რომლებიც ცი-
 დან ზღაპრის საამბოდ ჩამოსულან მთებზე...
 მე მესმის მათი ზღაპრები და ყოველთვის
 ყურს ვუგდებ ხოლმე.

მახსოვს, ერთხელ, ერთი მათგანი მზისა
 და მთვარის ზღაპარს რომ ამბობდა: როგორ
 შეიყვარა მთვარემ მზე და მისი დარღით რო-
 გორ დაუძლურდა და დაჰკარგა სიძლიერე...
 ყოველ თვეს მიუ ხლოვდება უბედური
 მზეს სატრფიალოთ და ყოველთვის დაიბნი-
 დება, ისე დასუსტდება, რომ უხილავი ჩნდებ-
 ბაო...—ძლიერ დაათვა თავისი ზღაპარი
 ღრუბელმა და მეტის სიბრალულით ცრემ-
 ლებათ დაიღვრა.

მის შავ სულ რაში მე ვხედავ უტყებ ძა-
 ლას, რომელსაც სიკვდილს ეძახიან და რო-
 მელიც ასე აფრთხობს ადამიანთა.

შუა ღამ სას, მაშინ, როდესაც ერთი
 პირი ძალი წყალსაც კი მოთვა, ის რაღაც
 მანქნებით აღებს მიწის პირს და შიგ ადუ-
 დებულ კუბრს ასხავს. მსწრაფლ იხურება ის
 და ქვესკნელის ყრუ ამოძახილს ყრუავე იმე-
 ორებს სამყარო...

ბევრი, ბევრი რაჟ საიდუმლო იხსნება
 მაშინ...

ღიად, მე მიყვარს მე მიყვარს ღამე...

ცრემლებს

თქვენ რომ არ იყოთ, არა მგონია თუ კი-
 დევ შევსძლებდი სიცოცხლეს... თქვენ მსგავ-
 სად მთის ნაკადულია, რომელიც შუაგული-
 დან გამოქუხს, რომელიც ასპეტაკებს და
 ჰბანს მის შინაგან სახეს,— ისე უმსუბუქებთ
 და უამებთ ადამიანს გულის ქრიდობებს..

ყოველთვის, როცა-კი ჩემს სულსა და
 გულში დანსადგურებს სეგდა და სიმარტოვე,
 მოგიხმობთ ხოლმე, და თქვენც, ერთგულ
 ამხანაგით, განუყრელად ჩემთანა ხართ და
 სიცოცხლის აიხზათ მეპყურებაო...

თქვენ პირველად საპოთხის ბაღში დაი-
 ღვარეთ და იმისთვისაა, რომ ადამიანი ბედ-
 ნიერებაშიაც-კი უთქვენოთ ვერა სძლებს.

აჰაჰა და ადამიანი

შუალამ სას ჩემს სამეცადინო ოთახში
 ვიჯექი და სიკვდილ-სიცოცხლეზე ვფიქრობ-
 დი... ჩემი ყურადღება წუთით ერთმა პეპე-
 ლამ მიიპყრო, რომელიც მოუსვენრად ჰფრენ-
 და სანათურის ირგვლივ და შიგ ჩაფრენას
 ლამობდა.

ბევრჯერ, ბევრჯერ დავიქირე, მაგრამ ის
 მაინც მიფრინდებოდა ხელიდან და სანთ-
 ლისაკენ იწვედა...

ვამჩნევდი, ყოველ მიფრენის დროს, ის
 ერთგვარ აღმაფრენას განიცდიდა... სიხარუ-
 ლით თავბრუ ესხმოდა და ძირს ვარდებოდა...
 მალე ისევ გამოსრკვევოდა და თავისას განა-
 გრძობდა...

ერთხელაც ისკუბა და მოულოდნელად
 შიგ ჩაარდა.

ფრთები დაესუსხა საბრალოს და თითო-
 ნაც დაიწვა.

მსწრაფლ ავხადე სანათურს თავი და
 გულმომკვდარმა ამოვიღე უსიცოცხლო სხე-
 ული მისი.

— ეხ, საბრალო ადამიანო, შენც ერთ-
 გვარი პეპელა ხარ, რომელიც სინათლის ძიე-
 ბაში ჰკვდები!—გ მიეღვა უტყებ და ღრმა
 ფიქრებს მივცეი თავი.

ლ. ძიძიგური

ს ა ბ ა

(დასასრული.—იხ. „თ. ლ. ც.“ № 38—39)

— წადი, ბიჭო აქედან.— მრისხანედ უბრძანა თევდორემ, რომ საბას არ გაეგონა წამაქეზებელი სიტყვები და მერე გამოსწორებოდა ენა-ყია დედაკაცს.

საბა არ იძვროდა.

— წადი თქვა რომ გეუბნები, არ გემის,— და ჩამჯდარ საბ.ს ფეხა ჰკრა.

საბა წაიქცა, უცბათ წამოხტა და მოკლე ხელები ისეთი ძლიერებით სტაცა ფერდებში, რომ ტკივალისაგან და მოულოდნელობისაგან თავზარ დაცემულმა თევდორემ ყვირილი მოართო:

— მიშველეთ, მომკლა ამ ურჯულომ...

ყვირილზე ხულიდან გამოვარდა თევდორეს ცოლი; საბასთან მისვლა ვერ გახდდა და კრახი ქათავით მიმორბოდა.

თევდორე წიწილივით ჰყავდა საბას აყვანილი ჰაერში და არავინ იცოდა, რას უპირებდა.

მოხუცებული მამა თავის სკამ-ლოგინიდან იძახოდა:

— გოუშვი, ბიჭო, შე ღმერთ-გამწყარალო, გოუშვი და ეძებდა დასარტყმელად კეტს; მხოლოდ დედა გამოვარდა სამზარეულოდან აფთხარით და მოჩხუბრებთან თამამად მივიდა:

— წევე შენ გავდე რამეს, შე გლახა, შენ! სანუგეშო შვილს მიკლავ, შენზე კი ავტირდი!...— დაუქაქანა ქალმა და საბასკენ წაიწია, მაგრამ ხელი აღარ უხლია, რადგან საბას საზარათ დაედრანჯა სახე და თვალიდან ცრემლები წამოსკდა.

— რავა დედაბერავით ტირი, შენ კი დეილუბე, შე ღმერთო და დედამამის შემარცხენელო!— ამოანთხია დედაკაცმა უკანასკნელი გესლი და უკანვე გაბრუნდა.

— მაგის ცოდვა მოგეცათ!— გამოიძახა სალომემ ლობიდან და მიიმალა.

საბა ნელ-ნელა გაიპარა, მივიდა საქურეზე, ჩახედა ქურში, რომელშიც შეამჩნია წინაღვე ჩასხმული წყალი, ჩაავლო თავისი-რას ორჩხოში, მიუჯდა, გაშალა თავისუფ-

ლად ფეხები და უზოგველად დაიწყო რეცხა. არავითარი აზრი არ ჩერდებოდა თავში, რადაც ნაპერწკალსავით გაუფლოვებდა და მიჰქრებოდა, ძლიერის მუშაობისგან ხვითქად მოდიოდა ოფლი...

გული ოდნავ დაწყნარდა. ფიქრმა ხტუნვა მიატოვა.

— ყველა, ყველა, მარა დედა?... მე არ ვარ შვილი თუ? ავლებ და არ ვიმუშავებ, მარა რომ არ მაქამონ!!. გამლახონ... თედორე უუ!— ლონიერია, მაშინ გამიჩუქდა, თვარა... წავალ... თუ აქანეი დედს არ ვეცოდები, ვინ შემიცოდებს?... ქუთუთის წავალ, ვიმათხოვრებ... სირცხვილია!..

ამ ფიქრებში გართული საბა მუშაობას არ უკლებდა. თავისიარათი უკვე ამორეცხა; ამოასხა ნარეცხი, ოსპილოთი ამოამშრალო, ბალის ქერქით ქურს თავი გაურეცხა, წყაროდან კოკით წყალი მოიტანა და ბალის კანის ორჩხობით ხელმეორედ დაიწყო ქურის რეცხა.

* *

თევდორე ვერ დაშოშმინდა. რომ იქ მყოფთათვის ძალა ეჩვენებინა თაროზე ჩამოკიდებული ჯანჯუხი კუთხეში მიაგლო, ცოლს უდაბერდი და გამოტენდიო“ მიაყვირა, მამას უბრძანა: ხვალ დილას ხარები კარგად გამოძღვ, ჩალის მოსატანათ უნდა წავიდეო; პატარა ხუთი წლის ბიჭს ერთი ლონიერათ აუსრისო ყური, ისე რომ მთელ ეზოში დიდხანს ისმოდა მისი წივილი სანამ არ დაექადა, გაჩუმდი თვარა მთლად მოგჭრი მაგ ყურებსო. მინც ვერ დაშმშვიდდა და საბას ჰკუთის სასწავლე ბლათ გაემართა.

საბამ ფეხის ხმაზე შეატყო, რომ თევდორე მოდიოდა. მთლად გაიხარა წელში, თავი თითქმის ფეხებ შუა ჩადვა და მოყითად და ლონიერათ უსობდა ქურს ორჩხობს.

— ვის გაუბედვე, ბიჭო, შენ ხელის შებრუნება?— პატარა სიჩუმის შემდეგ დაეკითხა თევდორე.

საბამ განაბა სული და უმატა მუშაობას.

— შენ გეკითხები, შე ძაღლო, შენ!— და ორათ გაკეცილი ხარის საბმელი ბაწარი მთელის ძაღლონით თავიდან ბეჭეზე გადაშ-

კრა, თანაც ფეხი საბას გაწვდილ ფეხზე და-
აბიჯა, რომ საბას აღვომა ვერ მოხებურებინა.

— ვაი, დედა!—იყვირა საბამ.

— აბა გეგონა შეგარჩენდი, შე უმადუ
რო გლახაკო... მე გაჩიქნიებ, შე ღორო,
თვარა შიმშილით ჩაძალდებოდი ნადვარე-
ში!—და მოუნაცვლა ბაწარი. ეხლა ბეჭიდან
გვერდზედ გადაჰკრა...

— არ ვიზამ, არ ვიზამ!—იძახდა ორკე-
ცათ გაწოლილი ს.ბა და ხელებით თავს
იფარებდა.

— არ იზამ, მცც ვიცი რომ არ იზამ!
რა გაგიკეთდა რომ ეხლა ქენი?! — ბოროტათ
იძახდა თევდორე.

საბას საზარელმა ყვირილმა და რტყმევამ
დაათრო თევდორე. შურტყამდა ყველგან სა-
დაც კი წაფწვოდა, როგორც კი მოახრებდა
რომ დაუღლილავებელი არც ერთი ადგილი
არ დარჩენილა. საბას ფეხი აღარ ჰქონდა
გაკავებული, მაგრამ ისე დარეტანდა, რომ
ადგომსზე არ ფიქრობდა, პირდაპირ დაჰჯდა-
რიყო, ხელებს აფათურე და მხოლოდ თავის
ხევით, და ამ ხელებშიაც თითებს შორის
ხვდებოდა ბაწარი...

მხოლოდ, როცა თევდორემ იჯერა გუ-
ლი და თვალზე დასისხლიანებული, მთვრალი
ხენეშით წავიდა სახლისკენ, საბა წამოდგა,

გადახტა ღობეზე და შეერია ხშირ ტყეს.

იგი დიდხანს იღვია, დაჯდომა არ გახსენ-
ებია. ტკივილებს არ გრძნობდა, დაღლილი
კი იყო სსტიკათ.

— წავალ და გადავარდები წყალში...
ერთი შეიშმუნა, ტკივილები იგრძნო. შეამ-
ჩნია რომ ფეხზე ღვას.. და ჯირკვლე ჩამოჯდა.

— დავისვენებ და მერე წავალ და დე-
ვისჩრჩობ თავე ..

აზრები აერია და ხის ძირში მიეძინა.
მეორე დღეს თევდორემ თავისი ცოლი გაგზა-
ვნა საბას საძებნელად.

— აქ რას აკეთებ საბა?—გამოელაბა-
რაკა ქალი, თითქოს შემთხვევით შეხვედრო-
დეს

— გამეივლის ვინმე ქრისტ-ანი და წა-
ყვებ, — მიუგო საბამ.

— წამოდი სახლში, დამშვიდებოთ უთ-
ხრა ქალმა.

— არ წამოვალ!—გაჯიუტდა საბა.

— რა ამბობ, შე კაცო, რაგა არ წა-
მხვალ? სოფელ ქვეყნის არ გრცხვენინან? თავს
ნუ კი მევეჭირით,—და ქალმა ხელი მოჰკიდა
და ოდნავ მოზიდა.

საბა გაჰყვა.

1916, ივლისი

ნ. ლორთქიფანიძე

შეგონებები


მოიდრუბლა არე-მარე, მწუხარების ზე რა ახვს,
ცის ფერ თვალა გაზაფხული აღარ გვატკობს, აღარ გვხიბლ-
ვს...
სიცვისგან ფერმინდლი ობოლ შტოზე ვარდი სტკენება,
და სამშობლოც ნადვლიანი სტირის... მოსტკვამს... ცრემლად დნება
კ. ძიძაძე

მზე-ქვაბილი

(ნობათი გურას)

ლამაზ ცისფერ თვალემა პაწია მზე-ყვავილო,
ზურმუხტ ველზე ნაზარდო, შევენებავ ტურფად შლილო.
თაიგულში მჩინარო, კობწია და რჩეულო,
ცელქო, ნაზო, მადხაზო, სულის სატრფო-წვეულო,
სად ვიყო, გული მარად შენ გელტვის სანატრელო,
ვინ განახოს არ გიმდეროს?—სიცოცხლეც საყვარელო!..

ს. ერთაწმინდელი



ლევან ბატონიშვილი

(გაგრძელება. იხ. „თ. ც.“ № 38)

აღექსანდრე ბატონიშვილის შვიდიწლიანი, ეკონომიკური და სხვათა განზრახვით ეწეოდა ამ მთელი ბუნების დაქსოვის მხარდობებითან შეთანხმებითან. ციციანოვის დალაქით მოკვდის (8 თებ. 1805 წ.) შემდეგ სურთ მიიტყუონ რუსთა დაქსოვი კახეთს და ამოეღოთ, მაგრამ იმედა უტრუკოვს და მადე რუსთა მხარდობელობა სხვათაგან და ამიერ კავკასიაში უფრო შეტად ფართოვდება და უფრო უშეტესად მტკიცდება.

ახა გამოდისრა 1810 წლის გეგმითა, რომლის თანახმად ტფილისსე იერში უნდა მოეტანათ იმერეთიდან სოლომონს, ახალციხიდან ქუთაისს ეული-ხანს, ნახიჭევან ურბანდიდან ბახანის ძეს აბას-მირზას, ერევან-ფაშა-შურაგულიდან ალი-შაჰ-სადეს და ასეთიდან 24 წლის ჭაბუკს ლევან ბატონიშვილს *), რომელიც, დავით ბატონიშვილის ცნობით, ასეთში შეეგზავნათ სოლომონ იმერეთს შეიყვანა. (მასალები საქართ. ისტორიის, გვ. 92); ხოლო სხვა წყაროებით ლევანის ასეთში მოქმედება მიეწერება სხარეთის ეკნს (იხ. Утвержд Руск Владыч на Кавказѣн პატრის რედაქტორობით ტ. II გვ. 227).

26 ივლისს 1810 წელს ლევან ბატონიშვილი ჩამოიღო ასეთის სოფელ კენეს და იქიდან მიმართა ქართველ თავადებს წერილით: „თუ თქვენ არ დაგიგოწიანთ მოწყობებისა და დამსახურებისა თქვენის ბუნებრივ ბატონისა, წამსვე გამოცხადდებით აქ. ამისთანა შემთხვევას და დროს ვეღარ ვხედავთ: ქვემო მხრიდან მოვიდა უკნის დიდის ლაშქრით, ხოლო აღექსანდრე ბატონიშვილი დღეს თუ სვალ მოვა 12000 მეომრით ადგა იმერეთიც ისე, რომ სიჭაბუკეობად რუსი, ევლია გაყლიტეს და მოსრეს. — უმაღ თქვენც დაუფრინებლოდ მოდით“ („შტურმ-შტაბი რუსკ. ვლადიკესტვა ნა კავკასიე“, ტ. II, გვ. 228).

ასევე კარგად მიიღეს ლევანი, მისცეს ბინა და აღუთქვეს დახმარება.

მაგრამ ეს დაწყობილობაც ჩაიშალა, რუსი ძლიერებამ უკუაბრუნა მტრები და ლევანის შესახებობადაც ზომები მიიღო.

გაიგო თუ არა მთავრობამ ლევანის ასეთში მიწადის ამბავი, გაეზავნა გენერალ მინორი ახვერდოვი ცხინვალს იქაურ დაშენებულ ხაღის დასამშვიდებლად და ლევანის მიერ ასეთში აღძრულ ამბოხების გაფრთხილების მოსახმობად მან გასცა ბრძანება: „შეიზუროთ ევლიან ლევანის შიკრიკებით“.

ერთ შემთხვევას აღნიშნავს დავით ბატონიშვილი (მასალები 93): „წელსა 1810 წარუვლინა მეფის-ძე აღექსანდრემ ერევანით ლეონს მთასა შინა დოდაქ იესე, კაცი მართალი და წმინდა, ვინაითკან იყო გაზდილი მისი ლეონ, და თანა წარატანა ტანისამოსი და რადენიმე თეთრი. მოსრული დოდაქ სისირეთს ასტუმრა ტარელ გლეხობი და განუსრენა დამესა მას, ხოლო დღესა მორესსა, წარვიდა რა დოდაქ, ამნო ესე გორს ციციშვილს დავითს, რომეთუ ესე დავით იყო მას ეამსა შარშადი. ამან შეუკრნა ტანის დოდაქს, შეიზურა და მიტვივრა რუსთა და მიუღო მინაქვანიცა იგი. ესე ცნობეს რუსთა ტორმა სოფს გორით, და მიუწერა კამენდატსა გორისს, რათა მოაშთოს იგი მუნ... დამოტვივდეს ძელსა და მოაშთოეს“.

მაგრამ მარტო შიკრიკებისა და ბატონიშვილის დამხმარების დევნით არ დაკმაყოფილდა გენერალი ახვერდოვი; მან ამასთანავე მოუწოდა 200 შეიარაღებულ მთიულესა და გუდამაყურეს დასარბევად ასების იმ სოფლებებისა, რომელნიც მიემხრნენ ლევანს, და ამავე აზრით სურდა ასეთში გაეგზავნა ქართველთა რაზმი ქვეით: ჭარისა და ზარბაზნის მიხმარებით. **) მთავარმართებელი ტორმისოვი ძალიან უწონებდა ევლია ამას და ურწევდა არ შეეწყალა აღბორებულნი, მაგრამ იმავე დროს იმედოვნებდა სიმშვიდით მიებინა ლევანი, და ამიტომ უბრძანა (ახვერდოვს) ბატონიშვილის მოსაქცევად გაეგზავნა

*) ბუტკოვი ამბობს, რომ ლევან იულონის ძე 1801 წელს იყო 15 წლისა (ტ. II გვ. 510). მაშასადამე 1810 წელს იქნებოდა 24 წლისა სხვა წყაროებში აღნიშნულია 19 წლისად.

**) კავკასიის არქივურ. კომისიის ოქმები, ტ. IV № 145.

აღმზრდელი დეკანოზი ქართველიშვილი.

მიზეზად ამგვარ მოტიქულობისა დაიღოთსონა თვით დეკანის მამის იუღანისა, რომელსაც ხელმწიფე იმერტორის წინაშე ეშუამდგომლნა, წარკვარვანთ მის შვილის ღვეანისთვის უმადლესი რესკრიბტი დაწირებით, რომ იგი რუსეთში მოსვლის შემდეგ მიღებულ იქმნება მთავრობის მფარველობის ქვეშე, და ამასთანავე უმადლესი რესკრიბტი და მისი (იუღანის) საკუთარი წერილი ერთად სანდო პატრის ხელთ ჩაებარებინათ ღვეანისათვის.)

მაშინ იუღანს ღვეანი ეგულე და სიათბატოში, მოქმედად ერთად სპარსეთში მყოფი გაქცეულ ბატონიშვილებისა, რომელთა ძიებანი მას უკვე მიანდა „ინტრიგად და უგუნურებად“ (იქვე, 229).

ტორმასოვმა დაწვალა ქართველიშვილს ღარწმუნებინა ღვეანი, რომ თუ იგი თავის თავად მოვა შენახებული, უხვად დასაჩუქრებულ

ქართული თეატრის ბედი

საგადაღმა ქართული თეატრის ბედი თბილისში..

შესამე წელიწადის დაიწვა ქართული სათეატრო დარბაზი და, სათეატრო საქმის შესვეურთა დაუდევრობით, ღამის თვით თეატრის სული და გულიც—ქართული სასცენო ხელოვნება, ერთგული სახიობა და სანდომო მწერლობა—ცენტრში შეთანქას, ქარმა ზიდოს...

თეატრის აღსადგენად არჩეული კომიტეტი საღათას ძილს მიეცა.

ქართულ უხუცეს დრამატიულ საზოგადოების გამგეობა, როცა ვეელა თეატრი დატკრილია და სუზონი განადგებული, თითქო მისაჩვენებლად შეადგინს, გერედწოდებულ დასს, სათავაზნ. სუბსიდიას ხელთ იტღებს და მხოლოდ ნიანგის ცრემლებს აფრქვევს: თეატრს არ გააძლევენ!..

ანუ ვიღაცას და რაღაცას სახავენ დაბრკოლების მიზეზად...

გერედ წოდებული ქართ. დრამ. დასის მისახიობნი გასაფხულ-საფხულში,—ამ დროს ჩიტიც კი ცის ქვეშ თავისუფლად ცხვრობის,—დაბა-სოფლებში ანუ კლუბის სცენებზე ცოდვილობენ, სამთრის პირში მოჭყევიან უვირილს—„გზგოვა, გვშიანა“, იმღენს იზმენს (უფრო „ბეღნიკრი“) დასს შეადგენენ, სათავად ახსიურა

იქმნება და ხელმწიფის წინაშე გულმოდგინე შემწეობა აღმოჩინება. მაგრამ დეკ. ქართველიშვილის შუკაცობამ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. „ღვეანის დასუსტებულ თავში“, სწერს რუსი შემატრანე, *) „ჩინიშურვალე ისეთი დიდი აღმოჩნდა, რომ მან არაფრად ჩაატლო ერთმორწმუნებას ჩვენთან და თვით შვილებრივი მოვალეობანიც“ და უხასუსა ქართველთვის:—მის შემდეგ, რაც ჩემმა მამამ, დედამ და ნათესავებმა აღიარეს თავისზე რუსის იმპერატორი, ერთხელ და სამუდამოდ უარვეყვი იგინი და ახას დროს არ ვიქნებოდ რუსთა მთავრობის მოწყალებათა მძებნელი (იქვე, 230). მ. ჯანაშვილი (შემდეგი იქნება)

*) Утверждение русск. влад. на Кавказе. ტ. II, გვ. 229. **) Утверждение русского владычества на Кавказе. ტ. II, გვ. 230.

სუბსიდიიდან ერთ ნაჭერ ულუფას გაიკვრენ და დროებით განისვენებენ—ხვალ დიერთი მოგვცემს...

ქართველი ინტელიგენციის უმეტესობა მხოლოდ ჭიდაობა ბანქოთი ერთობა: მადამედი ცრეში, ნაშუადმევს—კლუბში.

თბილისში სათეატრო საქმის ამ ჟამად სახადასო წარმოდგენების მმართველი წრედა თუ უძღვება და ამასაც ეცილებიან—დღეები ჩვენც უკინაწილეო.

მაგრამ დღეები ან სულ არ გახლავთ, ან თვეში ერთი—ორი...

და თუ როგორმე ვინმემ დღეები უწყალობა დასი მოჭყევა ძველებურ ჩვენებუ წარმოდგენებს: მოუმზადებელი, შესახალულ მიესების დაღმას.

გარემოება გაძალებს საკუთარი თეატრის დროით აშენებას; დაბა-სოფლებიდან და თვით ბრძოლის ველიდან გაფრცინებით შემოგვეურებენ—აცა როდის დაიწება თეატრის შენება, რომ ხელი წავსმაროთ და ჩვენი ამშენებლები კი ჭეუხობენ...

როდემდის ასე, როდემდის კურთხეულნი შეიღწო ჩვენი ქვეყნისა?!

გონებ, დროა ერთხელაც არის სინამდვილე თვალეში ჩავხედოთ და საკუთარ თეატრის აშენებაზე დროით ვიზრუნოთ, თორემ ნამცვებით ჩვენი სასცენო ხელოვნება ვერ ისაზრდოებს.

იოსებ არიმათიელი

მუნჯ სიმღერებიდან

კრულვა შენს სახელს. კრულვა შენს სახელს. სატრფოვ თაღლითო! სატრფოვ-ცბიერო! — შენ ჩემი გულის დაღუპისათვის ზეცამ მოგკითხოს საამაგიერო!

ჩვენი ალერსი გარდაიცვალა. არც ახდით მძულბარ, არც შეუმჩნევლად; ხოლო კი გეტყვი: არ ძალმიძს მეტი—და ეს სიჩუმეც მიიღე წყევლად.

ი. გრიშაშვილი

ღ ე ღ ა

შემოდგომის ღამეა, სევდიანი სნეული...
 წვიმის ხშირი წვეთები, ცრემლებად დაფრქვეული,
 მკაცრი, გააფთრებული, მრისხანე გრიგალ-ქარი,
 მქნარი, გაყვითლებული ფოთლებისა ღაშქარი,
 ნისლიანი ჰაერი, უსამოსო ხეება,
 უცნაური ლანდები, სამარის სახეები,
 გაუგებარ სურვილებს დადლილ სულში ჰბადებენ
 და ცრემლები ღაწვებზე უსიტყვოდ ჰღაღადებენ.
 და შევდივარ ოთახში... ვწვები, მაგრამ გონება
 ვერ ისვენებს... ძილს მიკრთობს ბავშობის მოგონება.
 სასურველი, ძვირფასი, მზეებრ მანათობელი,
 და ვგრანობ კარი იღება, მოდის დედა—მშობელი
 მზრუნველ ობა-ალერსით ასე მეჩურჩულება:
 „დაიძინე, ფიქრებით გული დაგეწყულულება“
 ხანგრძლივ ეოცნით მიმშრალებს სახეს ცრემლით ნაბანსა,
 ხან ნანინას მიგალობს, ხან მისწორებს საბანსა...
 ხან ზღაპარს მეუბნება: ერთი ქვრივი სცხოვრობდა
 მარტოხელი, საწყალი, ვიდოდა, მათხოვრობდა,
 არცინ ჰყავდა, პატრონი, მხოლოდ მისი შვილი-კი,
 რომლით უნდა განველო მას სიმერის ბალიკი,
 ჯერ ისევ ნორჩი იყო, პატარა, პაწაწინა,
 მაგრამ ისე ღამაზი, რომ მის სიტურფის წინა,
 მზე მთვარე ბნელდებოდა. ვარსკვლავები ჰქრებოდა
 და ამ შვილის წ. რთმევას მღევი ემუქრებოდა...
 მიამბობს და თან გულში მხურვალედ მეხუტება
 და ბის ხმაში რამდენი სინაზე იხატება!..
 მაგრამ უცებ გრიგალი, ავსებული ბრაზითა,
 ფანჯრის მინებს ახეთქებს, გადანაბამს რაზითა,
 და ვერკვევი. მყის ჰქრება ძვირფას მშობლის ზმანება,
 სასურველი ოცნების დათმობა მენანება.
 ესტირი, დედა! ეძახის ცრემლები თვითთული...
 შემოდგომის ღამეა, სევდიანი სნეული.

გ. მეგრელიშვილი



ი კ უ ლ ე ბ უ ლ ნ ი

გაგრძელება იხ. „თ. და ც.“ № 39

კლ. რა კარგი კაბაა ეს! აბა უყურეთ! რა კარგად არის მოქარგული... ახლა აქა... აქ... (ანიშნებს თითოთ რაფდენიშე დაბადებაზე). ესენიც! (ანიშნებს ფერცხლის თაჯებზე და სხვა ფერცხლის მორთულაბებზე, რითაც მორთულია წიგნები და დაბადებები). რა კარგებია! რა შეცნიერები!

ენრ. ჰო, ეს ძალიან კარგია!

დიეგო რისთვის არის ყველა ეს? რა არის?

ენრ რა არის?

კლ. რა არის ეს? ან რისთვის არის?

დიეგო. (დაფიქრდება რაფდენიშე წუთი, უღებ გამოერეკება და სხვებზე გაუნათლებს სისარულით). ჰა—ჰა! ახლა მივხვდი...

კლ. და ენრ. (ერთად) რა? რა?

დიეგო. ახლა მივხვდი რაც არის ყველა ეს. ესენი უეჭველად ის საჩუქრებია, რომელსაც მამა დამპირდა დღეს მოსაცემად. გახსოვს, კლარა, რამდენჯერ დამპირდა მამა ძვირფასი საჩუქრების მოცემას, როცა ცამეტი წლისა ვავხდებოდი?

კლ. ჰო, ჰო, მამა-სთქვა იმისთანამ ძვირფასი და საოცარი საჩუქრები უნდა მოგცე, შენ დღეში არ გენახოსო. მეც დამპირდა კარგსა და ძვირფას საჩუქრებს.

ენრ. მერე რატოს უყვდის? რატომ არ გაძღვეთ? დრო უკვე წასულია.

დიე. მამამ გვიბრძანა, დაზე მოგცემთ, შუალამის შემდეგაო

ენრ. როცა დაწვებით?

კლ. არა! მამამ გვიბრძანა, ამალამ ძალიან გვიან უნდა დავწვეთო. გვიბრძანა დღეს მთელი დღე გვიძინებოდა, რათა ამალამ არ დაგვიძინებოდა.

ენრ რათა?

კლ. იმიტომ რომ მოგვცეს ის კარგი საჩუქრები, რომელიც დაგვიპირდა.

ენრ რატომ დღეს არ მოგცათ?

კლ. რა ვიცი. (დაფიქრდება რაფდენიშე წუთს, თითქმის ცდილობს ახსნას ის საკანია, რომ მკვიდრ მას გამოცანად ეჩვენება).

დიეგო. (მთელ ამ ხანს დაბადებების დათვალიერებას უნდება). რა მშვენიერია ყველა

ეს! ოქრო-ვერცხლის მორთულობა, ძალიან კარგია, არა, ენრიკო?

ენრ ჰო, მართალია, ძალიან მშვენიერია, მაგრამ რისთვის არიან? რაში გამოიყენებ?

დიეგო რა ვიცი. (აშტერდება წიგნებს და მორთულობას. ფიქრებში ერთობა) უეჭველი მამა აგვიხსნის რა არის ყველა ეს და რისთვის არის გამოსაყენებელი.

კლ. მეც მომცემს საჩუქრებს, მეც ხომ დამპირდა.

დიეგო. რასაკურველია, ორთავეს.

კლ. ახალი კაბაც შემიკერეს ახლა ნახე ჯერ ჩემი კაბა? ოჰ, რა კარგია!

დიეგო. მეც შემიკერეს ახალი ტანისამოსი. ჩემი ტანისამოსი სჯობია.

კლ. არა! ჩემი კაბა უფრო კარგია

დიეგო. მერე, რითი იცი რომ შენი კაბა სჯობია? ჯერ ხომ არ გინახავს ჩემი ახალი ტანისამოსი.

კლ. შენ კი ნახე კაბა? დღეს არ მოიხატნა მკერვალმა და ჯერაც არ ჩამიცვამს.

დიეგო. ჩემი ტანისამოსიც დღეს გაათავა და ჯერ არ ჩამიცვამს.

ენრ. მერე, პირველად რომის ჩაიცვავთ თქვენ ტანისამოსს?

დიეგო. დღეს.

ენრ- დღეს?

კლარა. ჰო, დღეს.

ენრ. დაზე, ამ დროს?

დიეგო. ჰა! მამამ ეგრე გვიბრძანა.

ენრიკო რათა?

დიეგო. (დაფიქრდება თითქმის ცდილობს გაიგოს საქმის შინაარსი) რა ვიცი.

კლარა. რასაკვირველია მამას ეცოდინება რათაც. დედასა ვკითხე და მიბრძანა, რამდენიმე საათიც მოიცა და ყველას გაგიგებო. ცოტა ხანიც-ღა დაგვჩვენა და ყველას გავიგებთ, არა, დიეგო?

დიეგო. რასაკვირველია.

ენრ. რა თქმა უნდა, კიდევ სხვა ძვირფას და მშვენიერ ნივთებს დაამზადებდნენ თქვენი მშობლები თქვენთვის, როცა ამნაირ დიდ მზადებაში არიან.

დიეგო. მაშ, მაშ. უეჭველად. მაშამაც ვგრე მითხრა, მ მა-ჩემმა მითხარა, ეს დღე დღით საპატიო დღეა შენტვის და მთელ შენ სიკოცხლეში უნდა გახსოვდესო. მაშა ჩემმა მითხრა, დღეის შემდეგ, შენ პატარა კი აღარა ხარ, არამედ კაციო.

ენრ. კაცი? (ცხანის) შენ ხო ჩემზედაც პატარა ხარ.

კლარა. მართალია, მართალი დიეგო მართალს ამბობს! მაშამ ვგრე უთხრა, მე თვითონ გავიგონე.

ენრ. გამიგონე, დიეგო, ხვალე ხომ პა-ჩენებ ყველა იმ საჩუქარს, რასაც ამალამ მიიღებ.

დიეგო. უეჭველად, სუყველას გიჩვენებ.

კლარა. იცი, ენრიკო, რა გითხრა?

ენრ. რა?

კლარა. შენც ჩენსა დარჩი, სანამ მოგვცემდენ საჩუქრებს და ნახავ.

ენრ. (დაფიქრდება ერთ წუთს) აი, საცაა ეხლავე ჩენი მოახლე შოვა და დამიძახებს სახლში წამოდიო?

დიეგო. როცა დაგიძახოს, უთხარ, წადი და მე თვითონ მოვალ-ოქო, და ისევე ჩვენთან მობრუნდი.

ენრ. მარტო?

დიეგო. მერე რაა? თქვენი სახლი ხომ შორს არ არის: აქედამ სულ ათი ნაბიჯის მანძილზეა.

ენრ. მაგრამ მინც მეშინია ღამე მარტო სიარულისა.

დიეგო. რისა გეშინია? თქვენს სახლსა და ჩვენ სახლს ირგვლივ ხომ სულ დარაჯნი დადიან და ისინი არასფერს დაგიშავებენ: არც არავის გაუშვებენ, გავონ რამე.

ენრ. მე მეშინია „წყვეული უწმინდური უჩიისა“.

კლარა. რა არის ეგ „წყვეული უწმინდური უჩია“?

ენრ. ის არის საშინელი ეშმაკი, სულ შავი თავით ფეხამდე, კეთროვანი და ბანძგვლიანი, თმები ძალიან გრძელი აქვს. ღამ-ღამე, იმ დროს, როცა ყველასა სძინავს, საჭურდავად გამოდის...

კლარა (აწვევტიანებს). რატომ ყარ-ულე? არ იქერნ?

ენრ. იმიტომ რომ ჯადოქარია, და თავს გადიქცევს ხალმე მხილველად და არ ხილულად ის დაიარება ქუჩაში, და როცა ბავშვი შეხვდება ან ყმ წვილი, მაშინვე დაიქერს, შეპკრავს მსხვილი თოკებით, ჩაისვავს გულაში, რომელიც სულ მუდამ ზედა ჰკიდა, და გაუღდება გზას.

კლარა. (ყურს უგდებს შირ გადებული და თვალზე გაგანიერებული. სახეზე ესტება საიდუ-დუმლო შაში, და ეკერის ენრიკოს თითქმის სხსას ევედრებაო. წარმოსთქვამს ჩურჩულით თითქმის ხმის ამოდებისა ეშინიაო). მერე, რას უზავს იმ ყმაწვილებს, რომლებსაც დაიქერს?

ენრ. წაიყვანს ერთ დიდ გამოქვამულში, რომელიც მიწის ქვეშა აქვს, იქ მოჰკლავს, გამოაცლის სისხლსა და ხარცს კიდე სქამს.

კლარა. სისხლი რაღათ უნდა?

ენრ. იმიტომ რომ იჯადოქროს. იმიტომ არის ასეთი დიდი ჯადოქარი და ყველას ეშინიან იმისი.

(ზაუნა. ემაწვილების სახეზე ისტება შიში)

კლარა. რით იცი ყველა ეგენი?

ენრ. ჩვენ ა მოახლემ მიამბო. ბევრი ბევრი საშინელი ამბავი მიამბო, წყველ უწმი-ნდურ ურის შესახებ. ოჰ, რა საშინელია.

დიეგო. იმ! სულ ტყუილია! მაგ ზღაპრებს უამბობ ყველა მოახლე ყველა პატარა ბავშვს, რათა დააშინოს ტირილის დროს, ანუ, როცა ცელქობენ და იმათი სიტყვა არ ესმით.

ენრ. მაგრამ რით იცი, რომ ყველა ეს ტყუილია?

დიეგო. ჩემმა მასწავლებელმა მიამბო, ურია იგივე კაცია, როგორც ყველა სხვა კაცი: როგორც მამა-შერი და მამა-ჩემი, და ის, არც იპარავს, არც იტაცებს ბავშვებს, და არც არავის არას უშავებს. მხოლოდ ძალიან საბრალოა და უბედური, ვინაიდან უფლის წინაშე ჩაიდინა ერთხელ დიდა ცოდვა, ღმერთიც განურისხდა, განდევნა თავის სამშობლოდან და მას აქეთია დაძრწის და ილტვის მთელი თავისი დღენი, ილტვის ქალაქადინ ქალაქში, სოფლიდან სოფელში, რაცა კი მივა ითხოვს ღამის გასათევს ადგილს, ერთ

ნატენ პურს— შიმშილის დასათრგუნავად, ერთ ჭკა წყალს— წყურვილის მოსაკლავად. ვინც კარგი ხალხია, იწვევს სახლში, ზრუნავს მისთვის, უწყლობებს რაც ესაქიროება და პატიოსნად ექცევიან. რათა? იმიტომ რომ ახლა უკვე მიიქცა თავის უფლისადმი, შეიქმნა კარგი და წრფელი. მხოლოდ ბოროტი ხალხი სდევნის, სცემს და ცილსა სწამებს.

ენრ. შენმა მასწავლებელმა გითხრა ვგერი?

დიეგო. ჰო, ასე მითხრა. და ჩემმა მასწავლებელმა თქვენს მოახლეზე შეტი იცის. ჩემი მასწავლებელი ძალიან ნასწავლი კაცია, ყველაფერი იცის.

ენრ. მაშ რათ ამბობენ: „წყეული და უწმინდური ურიაო“. რათ აგინებენ და ლანძღავენ ყველანი?

დიეგო. ჩემმა მასწავლებელმა მითხრა, ცოდვას სთქვა „წყეული და უწმინდური ურიაო“ ისიც არ იქნება, გალანძლო და შეაგინო: ჩემმა მასწავლებელმა სასტიკად აღმიკრძალა მაგისთანა სიტყვების ხმარება.

კლარა. მართალია, მართალი, მეც აგრე მითხრა მასწავლებელმა. და ისიც დაუმატა: ისეთ კაცს, რომელსაც კარგი გული აქვს ყველა კაცი უნდა უყვარდეს და მათ შორის ურიაოც, ვინაიდან ურია სხვაზე ნაკლები არ არისო, არიან ისეთი ურიებიც, რომლებიც ბევრით სჯობიან სხვებსაო.

ენრ. მაშ მოუტყუებივარ ჩვენ მოახლეს?

დიეგო და კლარა. (ერთად) რასაკვირველია, რასაკვირველია მოუტყუებ ხარ.

მნრ. (გაჯაფრებული) მაშ მე ვაჩვენებ იმას თავის სერს. დღესვე ვკითხავ მამა-ჩემს და თუ მითხრა: მოუტყუებიხარო, ისე დავაგლეჯავ თმებს, რომ ერთი ბეწვი არ შევარჩინო! წავიდეთ! (გაგმათებიან წასასვლელად).

კლარა. (მისუჩავს დაბადების კიდობნის კარებს, ჩამოაფარებს ფარდას და ასწორებს ხეჯათ, რომ არ მიხვდენ თუ უფთავა ვინმეო სუეველა მიდის კიბესთან).

დიეგო. (შეზრდება კიბესთან და შეაჩერებს კლარასაც). მოიცა, კლარა, ერთ წუთს, შენც ენრიკო, მოიცა ცოტა ხანი. გთხოვ, კლარა, არ უთხრა ჩვენს მშობლებს, თუ ჩვენ აქ ვიყავით, და ვნახეთ ყველა საჩუქრები, რომე-

ლიც ჩვენ მოსაკემ და გაამზადეს. ჩვენ ისე მოვიქცეო, ვითომ არასფერი არ ვიცით, რადგან მამას სურს უცებ გავგახაროს თავისი საჩუქრებით.

კლარა. მართალია, მართალი. მე არასფერს ვეტყვი არც მამას და არც დედას.

დიეგო. (ენრიკოს). შენც, ენრიკო, არასფერი სთქვა!

ენრ. კარგი. ქვასავით დავლუმდები. მაგრამ ჩქარა კი წავიდეთ, თორემ საცაა ჩვენი მოახლე მოვა და დამიძახებს: წამოდი სახლშიო. იქნებ კიდევ მოვიდა და კარებთან მიცდის. წავიდეთ! (მიდის საჩქაროდ კიბეზე მას მისდევენ დიეგო და კლარა).

ნ. ელიაშვილი — ბენ დავიდ

(გაგრძელება იქნება)

ვირის ჭკუა

ერთ კუდა მელას ძუქნა მგლის ჯავრი სჭირდა. დღე და ღამ ფიქრობდა, რა გზით ეზარალებინა.

ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა: რადგან პირად ვეჭაფერი ვუყავი, ლეკვს მოვპარავ, დავუღრჩობ და ამით ამოციკრი ჯავრსო. ასეც მოიქცა.

როდესაც მგელი ლეკვების საზრდოს საძებრად იყო წასული, მელა ჩუმად მიიპარა მგლის ბუნავთან, დასტაცა პირი ერთ ლეკვსა და გააცუნტულა.

მელას იქვე მახლობლად მინდორში მწვანეზე მამოვარი ვირი ეგულებოდა; მიიბრინი მასთან, ლეკვი წინ დაუგლო და შესძახა:

— „ძმაო, შენი დაუძნებელი მტრისა და ჩემი დამლუბველის ლეკვია... მოვკლათ და მისგან მოყენებული მწუხარება ამით ცოტათ მიინც მოვიქარვითო!“

ვირი დასთანხმდა. მელამ ხელად მოგულა საბრალო ლეკვი, აჭკიდა ვირს და შორე გზას გაუყენა, სადღაც, ხევში გადასადგებდა...

არ გასულა დიდი ხანი, მგელი დაბრუნდა ბინაზე. რა ნახა აწიოკებული შვილები და შენიშნა, რომ ერთი მათგანი აღარ იყო, მიხვდა ვირის საქმე იქნებოდა, მაშინათვე კვალში ჩაუდგა და მტერა დაედევნა...

მოეწია გზაში მიმავალ ვირსა და მელას. მელას ერთი წაუნია და ქათიბი შევალეჯა, ცა ვირსა, მოილო ქვეშა და ყოყინი დააწყებინა...

კისერ ჩამოგლეჯილი მელა თავ-ბედ მოქულეებული გარბოდა და თან გული საცოდავობი უკედებოდა, მკელი რომ ვირს ცოცხლად ატყავდა

მელას წინ ცხენი შემოეყარა და ჰკითხა მიზეზი ვირის ყვირილისა. მელამ მიუგო:

— „საბანე ცოტა მეტი მოუვიდა, წაიქცა და დგომისა ცდილობს, ყოველ გამვლელ გამოვლელს შევლასა სთხოვსო...“

— კი, მაგრამ შენ საით მიეჩქარები?— ჰკითხა ცხენმა მელას.

— მე აგერ სოფელში მივდივარ მუშების საქირავებლად. სანამ მოვბრუნდებოდე, ცოტა ხელი წახმარე ვირსო,—უთხრა მელამ და მოკურცხლა.

ცხენი მიუახლოვდა ვირს. ვირმა რომ თვალი მოჰკრა, შეევედრა—მიშველეთო. ცხენმა რაკი ნახა, მისი საკბილო არ იყო, თავი გაიქნია და უთხრა:

— „ვირის ქკუას დამიხედეთ! იმდენი ტვირთი აიკიდე, რაც შენმა ზურგმან ზიდოსო“.

ჭიჭიკო

* *

უხილაო, დღე მზე გეძებს და ღმით კი მთვარე სუსტი და თვით მე ხომ დღე და ღამე შენზე ფიქრით დანასუსტ ისე გეძებ, გესმის, ისე რომ ჩემს თვალებს ფერმიღეულს ზედ ვაკვირებ ყოველ ნასახს .. და ლექსების ცისფერ რვეულს ვფურცლავ ხოლმე ყოველ დილით გარიჟრაჟზე მყულრო ტყეში და მგონია იქ გიპოვი—ჩემს რვეულში, ჩემს ლექსებში! ..

როს ბუნება განთიადზე მზის სხივებით დაიფეროს, წამს გამოჰყე მზის ნავალ გზას, არაფერმა შეგაჩეროს და აქ მოდი, გეძებს, გელი, მოდი, გელის მთლად მიდამო და გახდებო დედოფალი საერთწუთო—სამუდამო!

გეფხო ფშაველი



პრაპ. დავ. მიხ. ჯაფარიძე გერმანიის ფრანტზე მოკლულა 14 მკათათვეს. 19 წლის იყო

ს ი კ ვ დ ი ლ ა ს მ ო ჟ ო დ ი ნ შ ი

ექიმის ბრძანების უმაღლესი გაილა კარი და მოსამსახურის თანხლებით ერთი ქართველი ავადმყოფი შემოვიდა: მაღალი, წვრილი, ძალზე დასუსტებული, ჩამომხმარი სახით. ავადმყოფი შემოსვლის უმაღლესი დაწვინეს ტახტზე. ავადმყოფისთვის ყურის ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ. ავადმყოფი ძლიერ შეშინებული იყო, კბილებს აქანხუნებდა, ფოთოლივით თრთოდა. მეორე ექიმისა და მოწყალე დის ლაპარაკში, ახლა პირველი ექიმიც ჩაერთა. ავადმყოფმა იმ თ ბაასით ისარგებლა, ცოტა ხნ შეისვენა, გული მოიბრუნა და ცნობის მოყვარებით დაიყო. აქეთ იქეთოთახში ცქერა. მე ამ დროს მიველ მასთან, ხელი ჩამოვართვი მან გაიკვირა, თვალები შეიშმუნა, თითქო ახლა გაიღვიძაო და დაღვრემილმა, აჩქარებით მკიფხა:

— ქართველი ხართ?
— ქართველი ვარ. ნუ გეშინია ..
— ჩემო ძმაო, რის უნდა შეშინოდეს აქ საავადმყოფოში ამ ორი თვის წინად ცოტახელ ქე მქონდა აპერაცია, მაშინ ძლივს გადავრჩი, ახლა გუშინ მითხრა, კიდევ გინდა აპერაციაო... მეც თან ხმა გაუხდი... იმას რა ენაღვლევა, ყოველ აპერაციაზე სამ თუმანს ღებულობს, მე-კი ამდენ აპერაციით იქნება სიცოცხლე წავაგო. არა-ღა არც მეხერხებე რომ არ დავთანხმდე, ყური მტკივა, - უკანასკნელი სიტყვები ჩუმად მითხრა სხვას რომ არ გაეგონა და ძალზე ამოიხვნეშა.
— ექიმს ალბად იმედი აქვს... ვუთხარი.
— შენ არ იცი აქ რა ამბავია... ყველა ფულს ემსახურება... ჩვენი ჯავრი არავისა აქვს.—

წამართვა სიტყვა და განაგრძო ლაპარაკი. კიდევ უნდოდა ელაპარაკა, მაგრამ ამ დროს საერთო დაბალის სიცილით დასრულდა მოზაესთა საუბარი. „დააძინეთ ავადმყოფი“, დაიძახა პირველმა ექიმმა. ჩვენ შეეწყვიტეთ ლაპარაკი. ავადმყოფი ისევ ათრთოლდა, გულში დაგდაგი დაუწყო. მეორე ექიმმა ნილაბისებური ქსოვილი ბადე აიღო, ზედ საძინებელი წახალი ასხურა, ჩამოაწხო ავადმყოფს პირსახეზე და გასძახა „ჩასუნთქეთ“. ავადმყოფი კენკითა და ხრილით მოჰყვა სუნთქვას. რამდენიმე წუთს შემდეგ ის ღრმა ძილს მშვიდავადმყოფი რომარ განძრეულიყო ოპერაციის დროს, მოსამსახურებმ გრძელად შეკაცულ ზეწრით დააკრა ტანტზე და ბოლოს ყელ-ქვეით ფეხებამდის თეთრი ტილო გადაათარა. ერთმა დამ თავი დაუქირა როგორც ჯერ იყო ამგვარ ოპერაციისა თვის. სხვები ზოგი მარცხნივ მოუდგა და ზოგი მარჯვნივ საოპერაციოს. ამ დროს უცებ ჩამოვარდა საერთო სიჩუმე. ოპერაცია დაიწყო. მძინარემ ყურის გაჭირი დროს მაინც იგრძნო ტკივილი, რაც ძალ-ღონე ჰქონდა შეინძრა და პირუტყვივით დაიღრიალა... „გააჩერეთ ავადმყოფი, რომ არ გაინძრეს ისეო“—დაიძახა მეოპერაციემ. ჩვენ ყველანი მივცვირდით ავადმყოფს და ხელ-ფეხი დაუქირეთ. ექიმმა, კარგად რომ ამოჭრა, ხორცი და რამდენიმე ძვალს ამოსტეხა, მიხვდა რომ სადაც უნდოდა იქ არ მოუხდა ხორცის ამოჭრა. ერთი შეჩერდა, გააქნია თავი და თავისთვის წაიბუზღუნ: „სოტა ქვემო უნდა გავგეპტრა, აქედან ამის სატივიარს ვერ მათუდგებოი.“ სთქვა ეს და ახლა მეორე ალაგს დაიწყო ოპერაცია, ოპერაცია დიდხანს გრძელდებოდა. საოპერაციო ავადმყოფები სხვებიც იყვენ იმ დღისთვის გამზადებული და ექიმს რაც შეეძლო ჩქარობდა, რომ აღრე მორჩენილიყო პირველ ოპერაციას. ამავე დროს მისი უმთავრესი ყურადღება კიდევ კედელზე ჩამოკიდებულ საათისაკენ იყო მიქცეული. ბევრი დრო რომ არ დაჰკარგოდა ავადმყოფზე. სიჩქარეში დიდხანს იძიძენა მან ავადმყოფის სისხლსა და ხორცი ხელეში, თითქო საქონლის შიგნულობას სწმენდს და არჩევსო. მე ვფიქრობდი, ეს ქართველი ავადმყოფი რომ

დიდი ვინმე ბრძანდებოდეს, ნეტა თუ მაშინაც აგრე მოიქცეს ექიმი და აგრე სიჩქარით დაიწყოს მოქმედება თქო.

პირველი ოპერაცია საათ ნახევარს გაგრძელდა. ამ დღეს სამს კიდევ გაუკეთეთ ოპერაცია. პირველი ოპერაცია ყველაზე დიდ ოპერაცია იყო. გულში ჩამჩხა რა დაემართებოდა ამ ავადმყოფს და გადავწყვიტე მეორე დღით დროით მენახა.

ევ. ფურცხვანიძე

კაცის თვალს რა გაადღებს

აჭარაში გაგონილი ზღაპარი

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ზოლი¹⁾ ფუხარა²⁾ კაცი. ყავდა ერთი შვილი და მეტი არაფერი გააჩნდა. იმ ზომაზე მივიდა შიმშილით, რომ თავს იხრჩობდა აღიდებულ წყალში. ეს შენიშნა შვილმა და გამოკითხა მიზეზი თავის დახრჩობისა. მამამ უმბო თავისი თავ გადასავალი.

— შვილო შიმშილით ლამის არის სული ამომხდეს და აბა რა ვქნაოო, მამინ შვილმა უთხრა მამას:

— მ.მ! მოდა მე გააყდე ორას მანეთად და მით ერთი ხანს თავი ირჩინეო.

— შვილო, შენ ვინ გიყადის, ხომ არ გაბეჩდი ვის რათ უნდისარ?

მაშინ შვილმა უთხრა.

— გამიყვა ბაზარში, დაიწყე ყვარილი „გასაყდი ბავშვი“ და თუ ვინმემ გკითხოს რა იცის შენმა ბავშვმაო, უთხარი, ყოველივე იცნობსთქო: ქვას, საქონელს, კაცს და სხვას

მამამ აასრულა თავისი შვილის ნარჩევი, გაიყვანა თავისი ბავშვი ქალაქში და მორთო ყიბრილი: ვის გინდათ ბაყვი³⁾ გასაყიდი ამ დროს გაიარა მეფემ და ჰკითხა მამას:

— რა იცის შენმა ბაყვმაო.

მამამ მიუგო.

— ჩემი ბაყვი გამოიცნობს ქვას თვალს, კაცს და ცხენსო.

მეფემ მისცა ორასი მანეთი, წაიყვანა ბა

¹⁾ ზოლი—ნამეტანი ²⁾ ფუხარა ლტაკი; ³⁾ ბაყვი—ბავშვი.

ვში და მიაბარა მზარეულს: მაგას აქაზე თითო პური და წყალი აზიდვიეო.

გავიდა რამდენიმე ხანი, მეფემ იყიდა ერთი ზოლი ლამაზი ცხენი. შინ რომ მოიყვანა, გაახსენდა ცხენის ძეგლი ბავშვი, დაუძახა და ჰკითხა:

— როგორია ჩემი ნაყიდი ცხენიო?

ბავშვმა მიუკო: ტყვალა გიხარია, მეფეო: ეს ცხენი, წყალთან მიიყვანთუ არა, მაშინვე შიგ ჩაწობაო.

მეფეს გიეცინა და მოინდომა იქვე ახლო ტბაში შეიყვანა ცხენი. ბავშვი შეეხვეწა მეფეო თქვენ თვისონ ნუ შეჯდებით, აგი თქვინი მეთვზე შეაყდინეთ და ისე ენახათო.

მეფემ აუსრულა თხოვნა. გადმოხტა ცხენიდან და თავისი მეთევზე შეიკვა და შეუშვა ტბაში. ცხენი მაშინვე წყალში ჩაწვა და მეთევზე წყალს მისცა მეფეს გაუკვირდა და კითხა: შენ რით შეატყეო?

ბავშვმა მიუკო: მე რომ ამ ცხენს შეეხებდე, მაშინვე ვიფიქრე, რომ ეს კაჟიჩის ნატროა.

მეფეს გაუკვირდა, მოიყვანა გამყადველი და გამოირკვა, რომ კვცობაში იმ ცხენს დედა მოკვდომოდა, კამეჩისთვის ეწოვებანა ძუძუ და მაშინ შესჩვეოდა წყალში ჩაწოლას. მეფემ დააჯილდოვა ეს ბიჭი და მზარეულს უბრძანა ერთი პურიც მოუმატეო.

გავიდა რამდენიმე ხანი. მეფემ იყიდა თვალი, მოიტანა სახლში და დაიწყო წინვარამდენი გირი დააყარეს, მაგრამ ვერ აწონეს. ბოლოს იფიქრეს, მოდი ერთი, გირების მაგიერ ფული დავაყაროთო. გამოისცალეს მთელი მეფის სალარო, მაგრამ თვალი ვერ აწონეს. მეფეს კიდევ გაახსენდა თავისი ნაყიდი ბიჭი და დაუძახა. ბიჭი მოვიდა თუ არა, დახედა თვალს, აიღო ცოტა მიწა და დააყარა იმ ტაფაზე სასწორისა საითაც თვალი იყო დადებული. სასწორი მაშინვე დაიწა. მეფემ კითხა:

— მიწა ასე რათ გაასუბუქა ეს ძვირფასი თვალიო? ბიჭმა მიუკო:

— ეს არ ს არა ძვირფასა თვალო, არამედ კაცის თვალი და კაცის თვალს მიწის მეტო იერაფერი გაძდებსო.

მეფეს შეეწონა ეს სიტყვები და მზარეულს უბრძანა: ბუკს კიდევ ერთი პური მიუმატეო.

გავიდა რამდენიმე ხანი. მეფემ ნადიმი გადაიხადა, მოაწვა ყველა თავისი ნაზარეული და მიეცა ქეიფს. ქეიფის დროს გაახსენდა თავის ბიჭის მამას ყვირილი „ჩემი შვილი კაცს იცნობსო“ და დაუძახა ბიჭს.

— მამაშენის ორი სიტყვა გემარჯლდა, ახლა მესამეც თუ გამართლდ, მამაშენი რომ ამბობდა, „ჩემი შვილი კაცს იცნობსო“. აბა, ამ ჩემს სტუმრებთან მოთხარა, როგორი კაცი ვარო?

ბიჭი განზე გადავიდა.

— ამ ხალხში ვერ გეტყვი და მართალი შეგატყობინებ ყოველივესო. მეფემ აიჩქმა: ამ ხალხში მითხარო. ბიჭმა მოახსენა:

— ყოველივეს გეტყვი, თუ არ გამოირახდები და არ მომკლავო.

მეფემ აღუთქვა. მაშინ ბიჭმა მოახსენა:

— ტყულ ტრახახო და თავი მეფედ მოგაქ, შენ მეთვს არაფერა გცხა: უბრალო მეპურის ნამალეკა შეული ხარო.

მეფე დალონდა, მოინდომა შეეტყუა ბიჭის ნალაპარაკევი მართალი იყო თუ სიტყუე. მაშინვე აღვა და დედასთან წავიდა (თათრის ჩვეულებსაჲებრ ქალები და კაცები ერთად პურს ვერ სჭამენ), მივიდა და უთხრა:

— „დედილო, ცოტა რაღაც ავად ვარ და ერთი შენი ძუძუ მომწოვეო“. დედას გაუკვირდა შვილის ასეთი თხოვნა და უთხრა:

— შვილო ხომ არ გაბეჩითი, რა დროს ან შენი ძუძუს წოვა არის და ან საღმაქ რამე ძუძუში, ამდენი ხანია ბოვში არა მყოლიაო. მეფე მაინც არ მოეშვა.

მაშინ დედამ აუსრულა თხოვნა და მისცა ძუძუ პირში, მეფემ მაშინვე კბილი მოუქირა ძუძუზე და უთხრა:

— მითხარი, ვისი შვილი ვარ, თვარა, ძუძუს მოგქამო, დედას არ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ტყვილმა აიძულა და უთხრა:

— შვილო მამაშენი მოხუცი კაცი იყო მე რომ მომყვანეს, მე კი 17—18 წლის ქალა ვიყავი, ის სულ თავისს სამეფოზე ფიქრობდა და მე ყურადღებას არ მაქცევდა მე ვერ მოვითმინე ქმარის ასეთი გულცივობა, ერთი ზოლი ლამაზი მეპურე ჰყავდა ჩემს ქმარს, შემიყვარდა და იმიდან შემეძინე შენო.

მეფე ნაღვლიანი გამობრუნდა და უთხრა ბიჭს: სიდან იცოლი, რომ მე მეპურის შვილი ვიყავიო. ბიჭმა მიუკო:

— პირველად ცხენი რომ გამოვიყვანე, შენ მაშინ პურით დამაჯილდოვე, თვალი რომ გამოვიყვანე— შენ მაშინ კანონით მისაქმელი უნდა მოგეცა და არა ხელმეორედ პურიო.

მეფეს მოეწონა თავისი ბიჭის ნალაპარაკევი და რადგან შვილი არ ჰყავდა, იშვილა იგი და გაიხადა შემკვლარედ. ბიჭმა მამა მიიყვანა და მას შემდეგ განცხრობით ცოვრობდნენ.

ირაკლი ურუშაძე

სახალსო თეატრის ინსტორია

(მასალები)

რატ დრო გადოდა, წარმოდგენები უფრო და უფრო რიგისად იმართებოდა. თეატრის შემოსავალი-თითო შუარიდან შემოსული ფული — გულარე ქოფინი და გასავალს და მუდამ სეზონის წარაღობით თავდებოდა. ამისათვის სექცია იძულებული შეიქმნა ეთხონა რუსულ კითხვებათა კომისიისთვის, რომ ნება მიეცათ ბალეტების ფასის ზარეულ ხუთ რიგზედ მანინ მოქმატებისათ, რათა საშუალება მისცემოდათ ხარჯის დაფარვისა. ამ თხონაზე კითხვათა კომისიატ დასთანხმდა, ფასი მოქმატეს: ზარეული ორი რიგი გახდა 15 კაპ. შესაშუ, შეათხუ, და მეხუთე 10 კაპ. დანარჩენი ისეუ თითო შუარი.

რადგანაც სექციამ შეატყო, რომ სახალსო თეატრმა ხალხი ძლიერ მიიზიდა, ამისთვის შეტდა ქადაქის სხვა უბნებშიც როგორმე ეზოვნა ბინა წარმოდგენების სამართავად.

1898 წ. გაზაფხულზე ნაქალაქოში ისეუ გ. ჩარეკიანის მეთაურობით შესდგა ამხანაგობა მუდმივ წარმოდგენების გასამართავად.

ამხანაგობაში შედიოდნენ: 1) გრ. ჩარეკიანი, 2) შეტ. ხეათსი, 3) სვ. უაღბეგაშვილი, 4) შეტ. ფტაძე, 5) იოს. დანახედიძე, 6) გაბ. ჩხეკელი, 7) ივ. ბეჟუაშვილი და 8) ფასო ღარბაშვილი (უმეტესობა სელონებში იყენ) რეჟისორად მოწვეულ იქმნა შაქრო საფაროვი. ამ შემთხვევაში ჩამოთვლილ ზიონთა ამხანაგობამ დაიკავა საქალაქო ადგილი ეკლისიის ზირდაზირ, მუდმივ სახალსო თეატრის ასაგებდ; ნისიად აიღეს ხის მასალა შემოდებეს, სტენა გააკეთეს, სტენის მოყვარენი მოიწვიეს და წარმოდგენების მართვას შეუდგნენ. სულ გაიმართა 10 წარმოდგენა: „შეპო“ „მისის დაბნელება საქაროველოში“, „ჩვერ დაბნენენ მერე დაქორწილდნენ“, „არსენა“ „რატ გინახე გუდარ ნახე“, „კინტო“, „ადოკატი შელაძე“ „ბრილიანტი“.

გიორგი ჯაბაური

ონსერკატორიის როგორ ვამზადებ **სტრიპკაზი** მი-სა-ნი-ი-ო-ქურხული

მართი წერ ლით: Оржевский пер. д. 7

წვრილი აზგები

◆ **ქართ. ღრამ. ღასი** თეატრის უშოვნელობით გაჭირვებაშია.

◆ **ვალ. გუნიას** ავადმყოფობა იმავე მღვდომ.

◆ **ბაქოს ღრამ. წრის** მიერ მიწვეულნი რეჟისორი შ. დადიანი, მსახიობნი ელ. ანდრონიკაშვილი და შ. ხონელი უკვე გაემგზავრნენ ბაქოს. სეზონი დაიწყება ამ თვის პირველგზში. რეპერტუარი—უმთავრესად ორგინალური და ბაქოსთვის ახალი პიესები.

◆ **ქალთა „ზანათლობის“** სემენარია აკურთხეს ენკენ. 25. დაესწრო ზლომა საზოგადოება. კურთხევას სადღესასწაულო ელფერი ჰქონდა.

◆ **„თეატრი და ცხორება“** ძველი სენაკის სამკითხველოსთვის ხარჯით გაუწერა ა. ქავთ რაძემ.

◆ **ბაქოს სამხმატრო-სალიტ წრემ** ვ. არაბიძის რეჟისორობით სეზონი დაიწყო ენკენისთვის 26 ტ. რამიშვილის „მეზობლები“-თ.

◆ **ხარფუზის კლუზმა** დაიქირავე ახალი ბინა (მიხეილის პრ. № 163) შენობას შეაკეთებს და ამ ღღებში გადავა კლუტ

◆ **სხვა და სხვა ვაგომოწირველთა** სიას შემდეგ ნომერში დავებუდავთ.

ახალი კლუბი 1 კვირის კროტ 2-9 ღვინ.

ორშაბათი — რუსული ოპერეტა

სამშაბათი — სიმფონიური კონც.

ო.შ.შაბ. სინემატოგრაფი.

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. (უფას); საზნდარი

პარაპ. — სინემატოგრაფი; მუსიკა.

შაბ. — სიმფონიური კონ.

კვირა — მუსიკა; სინემატ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ..

წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8¹/₂ სასმსასწმლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლო. საშ.შაბ. და შაბათს იხლიან: მანდილოვნები და სტუდენტები (ფორმ.) 66 კ. მამაკაცები 1 06 კ.



რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

Доволено Военной Цензурою სტამბა „სორაპანი“